ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6389493

ნომერი: AR1956239

თარიღი : 21.03.2023

გაცემის თარიღი : 28.03.2023

გაცნობის თარიღი : 07.04.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N 31;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2023 წლის 21 მარტის №AR1956239 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 21

მარტს №AR1956239 განცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 27 დეკემბრის №6267347 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ეტაპების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 27 დეკემბრის №6267347 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომში, ასმათის ქუჩა №31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.036.152), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 27 დეკემბრიდან 2023 წლის 27 ნოემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2023 წლის 16 იანვრის №6285915 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 27 დეკემბრის №6267347 ბრძანებაში ღია ავტოსადგომების ფართობთან დაკავშირებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2022 წლის 27 დეკემბრის №6267347 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში, მშენებლობის ორგანიზების პროექტში და კალენდარულ გრაფიკში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, კერძოდ არასწორად იქნა მითითებული სართულების ნიშნულები. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკით შეცვლილია, როგორც უკვე შესრულებული ეტაპების, ასევე შესასრულებელი (მე-7, მე-8 და მე-9) ეტაპები. ასევე, შეცვლილია შესასრულებელი ეტაპების რაოდენობა (მე-5 ეტაპი შეთანხმებულისგან განსხვავებით, მონიშნულია შესრულებულად, ხოლო, მე-9 ეტაპი გაყოფილია ორად). აქედან გამომდინარე, საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა წარმოდგენილ იქნას მშენებლობის ორგანიზების პროექტი და მშენებლობის კალენდარული გრაფიკი, მხოლოდ მე-5, მე-6 და მე-7 ეტაპების ნიშნულების გასწორებით (დანარჩენი ეტაპების უცვლელად) და 2022 წლის 28 ნოემბრის №AR1935942 განცხადების შემოტანის დროისთვის დარჩენილი სამუშაოების მითითებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს ერთმანეთის შესაბამისი მშენებლობის ორგანიზების პროექტი და მშენებლობის კალენდარული გრაფიკი მხოლოდ მე-5, მე-6 და მე-7 ეტაპების ნიშნულების გასწორებით (დანარჩენი ეტაპების უცვლელად) და 2022 წლის 28 ნოემბრის №AR1935942 განცხადების შემოტანის დროისთვის დარჩენილი სამუშაოების მითითებით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, 2023 წლის 21 მარტის №AR1956239 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.